სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/43

ქ. თბილისი

29 აპრილი 2026 წ.

2026 წლის (საგაზაფხულო მიღება) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სტუ-ის **ენერგეტიკის ფაკულტეტის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტისა და სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანების** სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2026 წლის (საგაზაფხულო მიღება) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 129 ადგილით.

№	პროგრამის დასახელება	ადგილების რაოდენობა
1	ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება	15
2	ავტომობილის ძრავის შეკეთება	15

3	ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები	15
4	ელექტრიკოსი	24
5	სამთო ტექნიკოსი	19
6	სამთო ელექტრომექანიკოსი	22
7	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	9
8.	მეზათქაშე	10

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**